ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2019 წლის 25 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში (ვებგვერდი 06/03/2019 090020020.35.151.016272) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეოთხე მუხლის მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. მოქალაქეს, რომელსაც უკვე ჩაუტარდა გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო მომსახურება მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის გარეშე და არ შეუძლია სამედიცინო მომსახურების დავალიანების დაფარვა, ჩატარებული მომსახურებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში თანხა შეიძლება გადაერიცხოს შესაბამისი სამედიცინო სამკურნალო დაწესებულების ანგარიშზე. მოქალაქეს, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში, მომსახურება შეიძლება დაუფინანსდეს საზღვარგარეთ, ექიმ-ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“ გათვალისწინებული დაფინანსების შემდგომ დარჩენილი თანხის 70 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარისა (ეროვნულ ვალუტაში დახმარების დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით).

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-15 მუხლი ამოღებულია.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გრიგოლ სეთურიძე**